

დედა

აზრებუდი, ტურფა ქვეყანაში
იღისნე, ქართველი მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გახსარეო!¹⁴

15



ხატაკთველოს ალკა ცენტრალური
ქ. შიბიტის შოველთვეორი ოკაზანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

აგვისტო
1949

—
Д И Л А
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

როსკომ პლანიძე

ნახატი ვ. დათბაშვილისა

თბილისის ჰანძრები

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სახელოვანმა შეიღმა თბილისი ინახულა და თქვა: ეს ქალაქი ისეთ ბაღნარად უნდა იქცეს, რომ მნახველი ვააოკოს, თავზე ჰანძრების ჩრდილი გადაეხუროს, მკერდზე ფერადი ყვავილების ხავერდი მოეფინოს, ბოროლის წყაროები აოჩუხ-ჩუხდეს, ცას ბოროლის მადრევენები შეეფრქვიოსო...

ეს ნათქვამი მისმა ერთგულმა მოწაფემ მტკიცედ ჩაინერგა გულში, მოიწვია ოსტატები: მიწისა, წყლისა, ქვისა, მცენარისა, ყვავილისა, და მათ ეს მშვენიერი სურვილი გადასცა. იმათ უზომოთ გაუხარდათ: ევ მთელი ხალხის სურვილია, ჩვენი გული და მარჯვენაც ხალხისთვის დაბადებულა, მაგაზე უკეთესი რაღა იქნებაო, —უპასუხეს და შეუღგნენ შრომას.

თბილისის ბაღნარად ქცევის დაწყება ყველას ეამა. მთელი საქართველო — დიდი და პატარა ფეხზე დადგა...

მალე ყოველი კუთხის მთა-ხევ-ქალებიდან რჩეული მცენარეებისა და ყვავილების გუნდი და გუნდი მოადგა ქალაქს.

ალვის ხეებმა მტკვრის ნაპირები აირჩიეს. ჰანძრები გზის უბეებზე ჩამწყრივდნენ. ფიჭვები და ნაძვები მთებზე შემოეფინნენ, ყვავილებმა შრილა ფარჩეული და ხავერდი ყველგან გაშალეს. დანარჩენი მცენარეები ზოგი საღ დასახლო და ზოგი საღ.

როცა თბილისის მიწა იმდენი სიცოცხლის ფესვები ჩაეხვია, ძაღლონე უფრო მოემატა. ხალხის დიდი სურვილი იმანაც იგრძნო, ამეტყველდა, ცასა და ქვეყანას შევლას შეევედრა. მთიდან მთაზე, ველიდან ველზე გადასძახა; მღინარეებს, ფშანებსა და ნაკადულებს სთხოვა: ჩემი ნერგებისთვის წყალს ნუ დაიშურებთ, თუქუნა წვიმა ხშირად გამოგიგზავნეთო.

მცირე ხანში საოცრად გამოიცვალა თბილისი: დაღვრემილი ხრიოკის ფერი გადაძვდა. მწვანითა და ფერადებით შეიმოსა მისი მაღლიანი მიწა, რა ყვავილები გინდათ, რომ მის გულ-მკერდზე არ ჩამწყრივდა: გუგულის კაბა, მოლალურის საგულე, ხოხბის ყელფარდილა, ოფოფის ჯღა, გულთივითკა, როქოსთვალა, გნოლის საყურე, ვარდი, ია და იასამანი ხომ უთვალავი!

4932



ტანწერწეტა ალვის ხეები, კვიპაროსები ცაში სვეტებივით აიტყორ-
ცნენ და საამური ქანაობით ქალაქს თავს ევლებიან. მუხა, თელა, კოპი-
ტი აქა-იქ განლაგდნენ და ყოველ უბანს ვაჟკაცურ იერს აძლევენ.
ყველაზე ძლიერად ქანდრებმა გაიდგეს ფესვები, ფართოდ გაშალეს
მხარ-ბეჭი, გზის ნაპირებიდან ტოტებით ერთიმეორეს გადაეხვივნენ და
ხშირი ჩრდილი გადაიხურეს.

ამდენ ქანდრებსა და ყვავილებს მზისა და სიხარულის მომტეოალი
ფრინველებიც თან მოჰყვნენ, იმათ ისე მოეწონათ მტკვრის ხეობაზე
გაშლილი თბილისის ქანდრებიანი ბაღნარი, რომ სადამდეც კი მსოფს
მოაფენენ და მიფრინდებიან, ყველგან იმის ქებას მღეროან.





ერთხელ სამხრეთის ველზე ყვითელ მტკვრში გაწოლილმა ხალმაც გაიგონა თბილისის ჯანდრების ქება. ერთი ნაცარა ჩიტი ასე გალობდა: რა შეედრება მტკვრის ხეობაზე, თბილისის ვეება ჯანდრების ტოტებში ნავარდს! ვერც ავღარი გავენებს, ვერც სიცხე და ვერც ქარიშხალიო.

ქარიშხალს ამის გაგონებაზე გული ამღვრა, აფორიაქდა. წამოვიდა სიავის ჩასადენად. მტკვრის ხეობას აღმა შემოჰყვა. ისე მძვინვარედ მოიგრაგნებოდა, რომ მტკვარსაც კი აჩერებდა.

აფხიანის მოახლოება პირველად ალვის ხეებმა შეიტყვეს, აჩურჩულდნენ. მიწაზე გადაიხარნენ და ყველა მცენარე გააფრთხილეს. შეშინებული ყვავილები ერთიმეორეს მიეკრნენ. მუხებმა ფოთლები ამაცად შეაშრიალეს, ჯანდრებს რალაცა წასჩურჩულეს და ახითხითდნენ. გრიგალს ჯანდრები წინ გადაეღობნენ, ღონიერი მკლავით დაღეწეს და დაქუცმაცეს, უვნებელ ნიავად აქციეს.

გაბრუნდა დაქინებული, გულჯავრიანი ქარიშხალი; კავკასიონისა და თრიალეთის მთები მოიარა. აშალა გულმეხიანი ღრუბლები, მორეკა და თბილისის ცაზე ჯერ მთებივით ააგო, მერე ერთიმეორეს შეაჯახა, აწეწა, აურია. დაიკლაკნენ ელვის ისრები, ცამ დაიქუხა და კოკისპირული წვიმა დაეშვა.

თბილისის გარშემო მთებიდან წამოვიდნენ პირგამურული ღვარები. ათორიეს ქვა-ლოდები, აყვირდნენ; არეშარეს წალეკვით ემუქრებოდნენ, მაგრამ იმათაც ჯანდრები გადაეღობნენ წინ. ტოტები დაბლა დახარეს, ფესვები გადახლართეს და გზა შეუკრეს. ღვიები, ფიჭვები და ნაძვები მიწას გაეკრნენ, ჯანდრებთან ერთად შეეჯახნენ შავ ღვარებს, დაქუცმაცეს და უვნებლად აქციეს.

ღრუბლებს ელვა და მუხი გამოეღლიათ, განაცრისფერდნენ. შეწყვიტეს ავღარი.

როცა ქარიშხალმა ნახა, რომ თბილისის ჯანდრებს ვერც ნიღვრებით მოერია, — ფერდობებს ერთი ჩამონაღვარიც კი არ ემჩნეოდა, — უფრო გაბოროტდა. ღრუბლებს დაერია და შორს გადაფანტა, უნდოდა ახლა სიცხით შეეწუხებინა ბაღნარი. ჯანდრები ძირფესვიანათ ამოეხმო, მაგრამ აფხიანმა ამითაც ვერაფერი დააკლო. არაგვის ხეობაში მოჩუხჩუხე წყაროები გამოეშურნენ თბილისის დასახმარებლათ. მივიდნენ თუ არა, მაშინვე ბროლივით თეთრი შადრევნის სვეტები შეუდგეს ცას. ყოველი მცენარის ფესვებს შეხეფები მიაშეკლეს.

წყაროების მოსვლაზე ბალი-ქალაქი უფრო დამშვენდა და გალამაზდა, — მცენარეებისა და ყვავილების ახალ-ახალი გუნდები შემოემატა.

შემდეგ ქართული ხალხის სიამაყე კიდევ ესტუმრა თბილისს და ნახა, რომ მისი ნათქვამი ურიცხვ მცენარეთა ხავერდზე ყვავილებით ეწერა განსაკუთრებით თურმე თბილისის ჯანდრები მოეწონა.

როცა წავიდა, ხმა დავარდა: საქართველოზე კიდევ ხალხის ბევრი, ბევრი სურვილი თქვაო. მართლაც რამდენიმე ხანში ჯერ რუსთავის მიწას და შემდეგ სამგორის ველებს დაჰკრეს ბარი ასაყვავებლად.



მომავალი საზოგადოების
კეთილშობილი -

ხორბადა

ნახატები შალვა ცხადაძისა

თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ
ახალი განსაცდელი

დილით ყველაზე ადრე ხორბალს გა-
ელვიდა ნამისაგან მკერდი დასველებო-
და. ამომავალ მზეს იმედით შეაკურდა.
შემოდგომის მზის სუსტმა სხივებმა შეება
აგრძობინეს.

ამხანაგების გაღვიძება დააპირა, მაგრამ
დაუნანა, — დილის სასიამოვნო ძილი არ
წაერთიბა ლაქნატები მეგობრებისათვის.
გარემოს თვალი მოაუღო. მებზობელი ნაკ-
ვეთიდან მანქანის ხმაური მოისმოდა, რო-
მელიც შორს, შორს მთის კალთებს ფეი-
ნებოდა.

უცებ მის ირგვლივ მიწა შეირხა. გა-
ისმა მიწის თბრისა და გრილის ხმა. თით-
ქოს დედამიწიდან რაღაც საშინელება აპი-
რებდა ამოხეთქვას.

სწორედ ის ბელტი, რომლის ქვეშაც
ნამკეცას არხინად ეძინა, ჯერ ანაზღუე-

ლად შეტოვდა და შემდეგ განზე გადა-
გორდა. თავზარდაცემულმა ხორბალამ თვა-
ლი მოჰკრა ცისქვეშ დარჩენილ ნამკეცას,
რომელიც შიშით თრთოდა.

ერთმანეთის დანახვამ ორივე გაახარა,
მაგრამ ხმაური კვლავ განმეორდა და ძო-
ბილები გაინაზნენ.

— რა ამბავია ჩვენს თავს, რა ხდება თუ
იცი? — წასტურჩულა ნამკეცამ იქვე მიყუ-
თულ გრძელკისერას, რომელიც ძილისა-
გან ვერ გამოკეცვულიყო.

— მგონი მიწა იძრა! — უპასუხა გრძელ-
კისერამ და ხორბალს გადახედა.

— რა მოგველის ხორბალო, რა?
მაგრამ მიწისძვრა მესამედ განმეორდა.

სწორედ გრძელკისერას გვერდით მი-
წისპირი ამოინგრა და ვილაცის გრძელი,
მიწაში ამოსერილი კბილები გამოჩნდა.



მარცვლებმა შეჰკოცეს და ენა ჩაუფარდათ. სამივეს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

ამოგრეული მიწიდან უხარმახარმა, საშინელმა მხეცმა ამოყო თავი. მალე მხეცი ამოფორთხდა, დრუნჩიდან მტვერი მოიწმინდა, უღვაშები თათებით გადაიგრიხა, ნაკრისფერი ქულაჯა ჩამოაბერტყა და ხარბად ამოისუნთქა.

— ვაი, დაეღუპეთ, დაეღუპეთ, თავვი, თავი დაგეცა თავს! — ატყდა მარცვლების წივილ-კივილი და ვანწირული მოთქმა.

ნამცეცა შიშისაგან წერტილივით დაპატარავდა.

ხორბალა თავს იმაგრებდა და გრძელკისერასკენ იხედებოდა, რომელსაც წელში გამართული, ტუჩებზე ნერწყვიმორეული თავვი უახლოვდებოდა.

— მი...ი... შევლეთ, მიშ... — მეტის თქმა ვეღარ მოასწრო თავის ყბაში მოქცეულმა გრძელკისერამ.

ხორბალასა და ნამცეცას შემოესმათ საშინელი ხრამუნი და ტანში ცივმა ყრუნატელმა დაუარათ. თავის აღსასრულის წამი მოახლოებულად მოეჩვენათ და ახლა მათ ასტეხეს საცოდავი კვილი, მაგრამ უცებ ნაბიჯის ხმა გაისმა, შემდეგ აღმზანის შეძახილი:

— ხედავთ, თავი გაჩენილა, თავი, ეკ წყული ეკა!

თავმა ყურები დაცქვია. მიწაში სტირჩაყოფილ ხორბალასა და ნამცეცას

თავზე გადაახტა, ფაცხაფუცხით ისევ სოროში ჩაძვრა.

— გადავრჩით, გადავრჩით! — წამოიკნავლა ნამცეცამ.

— იყუჩე, — გააფრთხილა ხორბალამ და მანაც მშვილად ამოისუნთქა.

მარცვლები გადაჩინას ზეიმობდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ და სინანულით იგონებდნენ უდროოდ დაკარგულ გრძელკისერას.

ფეხისხმა მოახლოვდა.

— ის მოდის, ის, გუშინ რომ მოგვიყვინა: — წამოიძანეს ერთხმად მარცვლებმა და ნათესში შემოსულ ჰაბუკს გაუღიმეს.

ჰაბუკმა თავის ხერცელს დახედა, თავი აქეთ-იქით გააქნია და ამხანაგს გასძახა:

— მიხა, ახლავე თუ არ ვუშველვით, მარცვლო გაზაფხულაშდე აღარ გადაჩრება...

ჰაბუკი გამბრუნდა.

მან არ ეცოდა, რა სხარული მოუტანა ამ სიტყვებმა შეშინებულ მარცვლებს. ისინი აღტაცებულნი ტიტინებდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ ჰაბუკის დაბრუნებას, თან ცალი შეშინებული თვალი თავის სოროსაკენ ექირათ.

მანუბლის განადგურება

თ ა შ ი მ ა მ თ ხ ა

მალე მინდორში კოლმეურნეთა ყრია-მული გაისმა.

ხორბალამ და ნამცეცამ გაიხედეს და რამდენიმე კაცი და ქალი დაინახეს, რომლებსაც წინ მათი მხსნელი ჰაბუკი მოუძლოდათ. მათ ნათესი დაკვირვებით დაათვალიერეს, რამდენიმეჯერ დაინახნენ და შემდეგ იმ ადგილს მოუახლოვდნენ, საიდანაც წელან ონავარი თავი ამოძვრა.

— აი, აქაც იყო თავი. აბა, ბიჭებო, აქაც დავეყროთ!

სოროს ირგვლივ რაღაც მოაბნიეს და წაყვინდნენ.

მიმავალმა კბუქმა უკან მოიხედა და სიცილით წამოიძახა:

— ნახეთ, სალამომდის ფეხები თუ არ გაეფეშეინო ამ მოწამლოლი ჰურის ნატეხებით იმ საძაგელს, იმასა!

აღმაინების ფეხისხმა მიწყდა. ხორბალა და ნამცეკა ერთხანს ცნობისმოყვარეობით უშვრდნენ სოროს პირს, თან ხან ერთი, ხან მეორე ჩუმით ჩასძახოდნენ მიწით დაფარულ მარცვლებს, რომლებიც მოუთქვნიელი ჩურჩულით ეკითხებოდნენ: რა მოხდა, რა ამბავიაო...

— მოიცათ, მოიცათ, ყველაფერს გაიბობოთ, ყველაფერს, ჯერ არაფერი მოიხდარა!

აღმაინები ჯერ თვალს არ მოჰფარებოდნენ, რომ მიწიდან ხმაური ისევ გაისმა. ეს ხმაური წელიანდელს არა ჰგავდა. ეტყობოდა თავი ფრთხილობდა.

ხორბალმა ნამცეკას გაჩუმება ანიშნა და გაინაბა. სოროდან თავი ამოძვრა და ფრთხილად მიმოიხედა. შემდეგ ისევ სოროში ჩაიხედა, თითქოს ვიღაცას ჩასძახოდა და ისევ მიმოიხედა ირგვლივ. მალე სოროდან ორი თავუნა ამოძვრა.

ნამცეკა ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა, ხორბალა სიძულელივითა და შიშით ათვლიერებდა თავგებს.

— ახლა კი დავიღუპეთ, აღარაფერი გვიშველის. — წამოიკნაფლო სუსტი ხმით ნამცეკამ და სულგანაბულ ხორბალს გადახედა.

დღეა თავება ჰაერი დაყნოსა, რალაც დაუწრუწუნა შვილებს და სოროსპირას მიმობნეულ ჰურის ნატეხს დაუწყო ღრღინა. თავუნებამაც მის მავალითს მიჰბაძეს.

— უჰ, უჰ, რა გემრიელია, აბა მიირთვით, — ამბობდა თავი და მსუნაგ ტუჩებს ილოკავდა..

— იფ, იფ, რა ტკბილია, რა ტკბილი! — წრიბინებდნენ წრუწუნები.

«გადავრჩით, ჩვენივის არა სკალითა» გადიქრა ხორბალამ.



ჯერ ერთმა წრუწუნამ დიკენესა: უელი შეწვის, ყელი, თავებრუ მესხმის, მიწელით!...

წრუწუნა ამ სიტყვებთან ერთად კვლავ სოროში ჩაძვრა. დღეა უკან დაედგენა და მეორე წრუწუნაც გაიყოლია.

მარცვლები ამ სურათს სულგანაბულნი აღევნებდნენ თვალყურს.

კარგა ხნის შემდეგ სოროდან დღეა თავვი ფაცხაფუცხით ამოიქრა. მის წრუწუნებშიც ამოჰყენენ.

ერთი წრუწუნა მიწაზე დაეცა, სწორედ ხორბალს გვერდით და ფეხები ააფართხალა.

— რი დაგეპართა, — ჩასძახოდა ხველებით დღეა თავი მომაკვდავ წრუწუნას.

მეორე წრუწუნა უხმოდ დაეცა იქვე მახლობლად დღეა თავი ახლა მისკენ გაიქცა, მაგრამ ვერ მიადწია, ხველა აუტყდა, დაეცა და მოკვდა.

თვლებდაჰყეტელი ხორბალა და ნამცეკა სულგანაბულნი უშვრდნენ ამ ამბავს. ერთი წამით სიბრალოლის გრძნობამ გაჰკრა ხორბალს, მაგრამ გაახსენდა საცოდავი გრძელისერა, გაახსენდა მისი განწირული კვილი და თავისუფლად ამოისუნთქა.

— ახია, თქვენზე, თქვე სისხლისმსმელუბო, ხომ მოგელოთ ბოლო!

ნამცეკამაც სიბრალოლით სიმღერა შემოსაძახა. მერე ხნულში მინაბულ მარცვლებს ჩასძახა: გადავრჩით, გადავრჩითო.

ხორბალა ოცნებამი იყო წასული, მომავალზე ფიქრობდა.



„რა გვეშველება, რა? — ფიქრობდა ის, — სულ მიწისზევით ხომ არ უნდა ვიყოთ... მალე საბარძოც დადგება, ნამცეცა მეტად სუსტიანი თუ გაიკიდეს...“

ამ ფიქრებში წასულს ისევ ხმაური შემოესმა. აღმაინის ხმა გარკვევით ისმოდა.

— ბიჭებო, — ამბობდა ნაცნობი ხმა, — წამალს გაუჭრია, ხელაეთ რამდენი თავგი მოუკლავს!

— აგრონომიც შენისთინა უნდა, შეილო, ყოჩაღ! — კმაყოფილებით ამბობდა მოხუცი გლეხი და დახოცილ თავგებს ათავლიერებდა.

გლეხებმა თავები შორს გადაყარეს. უცებ ნაცნობი ქაბუცი ხორბალს დაამტერდა, დაიხარა, ხელში აიყენა და წამოძახა:

— ეს რა მსხვილი პურის მარცვლი დარჩენილა მიწის ზევით, ხედავთ?!

ხორბალს გული სიხარულით შეუქანდა. ქაბუცი კვლავ დაიხარა, მიწა მოჩიჩქნა, ხორბალი შიგ ჩააწვინა და ფხვიერი მიწა თავზე გადააყარა. ჩამობნელებდა.

— აბა, იხარე და იმრავლე! — ჩაესმა წყვილიადმი მარტოდ დარჩენილ ხორბალს ქაბუცის აღერსიანი ხმა.

— აი, ყოჩაღ, აგრე უნდა მოსავლისათვის იზრუნე, აგრე... ერთ მარცვალზე ხშირად ასი მარცვალი ამოდის, რათ უნდა დაიკარგოს! ძველად ვამიგონია: — ერთი ფეხი ყანა მქონდეს, შეიღმანისს წვიმა მოხედეს, ზღვად იქცეს... ჩაესმა ხორბალს მერვე ხმა. ეს ხმა მოხუცი კოლმეურნისა იყო.

„ენტე რა დაემატა ნამცეცას!“ გაიფიქრა ხორბალმა. ამ დროს უცნობი ხმა გაიქცა.

— აი, კიდევ მერვე მარცვალი უკვდება, მაგრამ ეს პატარაა, ქინძისთავივით პატარა, იმაზე რა უნდა ამოვიდეს?

„ნუთუ ჩემს საყვარელ ნამცეცას გასწირავებს?“ — გულის თანოლით გაიფიქრა ხორბალმა, მაგრამ ისევ დამშვიდდა, რადგან ნაცნობი მოხუცის სიტყვები გაიგონა.

— შეილო, არავენ იცის, რისგან რა გამოვა, ვაკალზე ვაკლისზე ამოდის. ვგეტ ხათესე, იქნებ ივარგოს!

მალე ხორბალს გვერდით ნამცეცას ჩურჩული გაისმა:

— ხორბალო, ხორბალო, გესმის, მეც მეშველა, მეც!

პურისმარცვლების სიხარულს საზღვარი არა მქონდა. ფხვიერი მიწის თბილ საბანში ვახვეუტონი ზამთრის მოლოდინში გაინაბნენ და ძილს მიხტეს თავი.

თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ი გ ა მ ა თ რ ის პ ი რ ი

სინამ ზამთარი დადგებოდა ერთხანს კიდევ დაბთა. ნოყიერ მიწაში ჩაფულულმა მარცვლებმა კარგად დაისვენეს. ოდნავ გაღლებული ბაგეებით სიამოვნებით სწოვდნენ დედამიწის ტბილ ქუბუს და ყოველდღიურად სუჭდებოდნენ. ხორბალი კანში ველარ ეტეოდა, ვერ ისვენებდა. ხნულში ყოფნა მოსწყენოდა, მზეზე ამოსვლას ნატრობდა, რომ ისევ ლამაზი ქვეყანა დაეინახა.

პატარა, ქინძისთავისოდენა ნამცეცაც კი გაიბნეა, თავისთავს ველარ სცნობდა, სულ მზიარულად ეტეტიენებოდა ხორბალსა და სხვა შემობლებს, მათს ხელახლა დანახვის მოუთმენლად ელოდებოდა.

ხნულში შემოსული კოლმეურენნი გარემოს ახმიანებდნენ. ისინი მზრუნველი თვლით დაპყრობდნენ ნათესს, გაისმოდა მათი იმედიანი ძახილი და სიცილ-კისკისი.

გვიანი შემოდგომის მზიანი დილა იდგა, ხნულში გამჯდარმა სითბომ სასიამოვნოდ უღლიტინა ნამცეცას, მან გაიღვიძა და ხორბალს გასძახა:

— ხორბალო, მშაო ხორბალო!

პასუხი არავენ გასცა, ნამცეკას გაუკვირდა. ხორბალა თავისი ვაჟაკური ხვით მას ყოველთვის ამ დროს აღვიძებდა ხოლმე, ახლა კი პასუხსაც არ აძლევს, ნეტავ რა დაემართა? არც სხვა მარცვლები ხმა ისმის.

—ხორბალა, რა იქენი, ხმა გამცეკი კვლავ დაიძახა ნამცეკამ.

წყვილიაში ერთხანს ისევ დუმალი მგფობდა, შემდეგ საიდანღაც, ზევიდან ნაცნობი ხმა ჩაესმა.

—ნამცეკა, ნამცეკა გაიღვიძე!

—მღვიძახს, ხორბალა, ოღონდ მიიხარო, სადა ხარ, რა ამბავია შენს თავს? გაეპასუბა გაოცებული ნამცეკა.

—მე ზევით ვარ, აქ მშენიერიცა ყოფნა; მზეცა, თბილია, ამოდი!—იწვევდა ზევით ნაცნობი ხმა.

—როგორ იხვედი? მეც მინდა თქვენთან ყოფნა!—წამოიძახა ნამცეკამ და ზევით ასვლა ამაოდ სცადა.

—ზევით ამოყავ თავი, ზევით!

—მეც მასწავლე, ამიყვანეთ, მიშველეთ!—კნესოდა ნამცეკა, იბერებოდა, წერილი თავით მიწას აწევებოდა და ზევით იწვევდა. უცებ შეება იგრძნო, სასიამოვნო ნიავმა დაჰქროლა თავზე, მზის სხივებში გაეხვია და ერთბაშად ვერაფერი დაინახა. სინათლეს თვალი რომ შეაჩვია, მინდორს გახედა და თავის მახლობლად, მიწიდან, ნემსისწვერივით წერილი, მწვანე ღერო დაინახა, რომელიც მას დიმილით უტკბეროდა და თავს სიხარულით უტანევდა, ესაღმებოდა.

—ენა ხარ შენ?—შეეკითხა ნამცეკა.

—ველარ მიცანი?—გაიციხა უცნობმა—მე ხორბალა ვარ.

—ხორბალა? განცვიფრდა ნამცეკა—აბა, შენ როგორი ხორბალა ხარ, არაფერიც არ გიგავს ხორბალას.

—ხორბალა ვარ მეთქი. ახლა შენც ასეთი ხარ, როგორც მე აბა ტანზე დაიხედე, შენც ჩემსავით მწვანე კაბა გაცვია. პირველად მეც ასე გამოიკვირდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ნამცეკამ ტანზე დაიხედა და გაოცებისაგან შეკრთა. ის მართლაც უცნაურად შეცვლილიყო, ხორბალას გავდა, ოღონდ უფრო წერილი და ნაზი აგებულბა ჰქონდა.

ეს მწვანე, ნაზი ტანსაცმელი პირველად ძალიან ეუცხოვა ნამცეკას. დაფიქრებული იდგა და მზის თბილ სხივებში გახვეული მიწას დაბნულად დაჰყურებდა.

—რამ ჩაგაფიქრა? აბა შიხედ-მოიხედე, ჩვენები ყველანი ზევით ამოსულან!—გამოარკვია ფიქრებიდან ხორბალას ხმა.

ნამცეკამ მიმოიხედა. თავის გარშემო მწვანით შემოსილი ხნული დაინახა და გული გაუმტვრდა.

—რა კარგია ჰაერზე, მზეში!—ატიტინდა ის და თავისი წკრილა ხმა ამხანაგების სიძღერას შეუერთა.

მაგრამ...

დიდხანს არ გაგრძელებულა მათი მხიარულება. მზე ისევ მიეფარა გორებს. გრილმა ნიავმა დაჰქროლა. აცივდა. ღამით მინდორს თოვლის ფანტელი დაეფინა და მწვანე ველს თეთრი საბანი გადაეფარა.

—ისევ აცივდა. —დაიკენესა ნამცეკამ.

—ამბობენ ჯერ გაზაფხული შორს არისო, ჩავავი ხნულში თავი და დაიძინე, ნახამდის, გაზაფხულამდის!—გადასძახა ხორბალამ და თოვლქვეშ, თბილ, მყუდრო ადგილას ჩაჰყო თავი. ნამცეკამაც მას მიჰბაძა და გაზაფხულის მოლოდინში გაიჩინდა.



2024 2420

ბიჭა

სახლი და გარემოება

სახლის ეს, შავიანი კოჭის გვიან
 წყვილი ქვეშის სახლის და შავი-
 ლის სიბრტყე-საქართველო მკაცრად.
 მხარე ამოხატეს, როგორც ადამი-
 კანის ხელი მიწვეული მართის
 ხევის დაწვეს, სახლის და თქმის
 — რად არის ამოხვეული მის ქვეყანაში?
 ქართველს ასეთი მგელი?

გან სიკვდილის არქის იყო რომ გა-
 სის დის არ სხინის ხანგა დადგენს
 სხინის ჩამოყვანილი, ხეივანი სიკვდი-
 ლის ვახტანგის და დღის არქის ვახტ.
 ვაჭრობისთვის სხინის და, მესამე ხე-
 მინის შუალის იყო, ხეივანის უფრო
 ვაჭრობის და მესამისთვის, ხს არ
 შავიანი, ხს არ.
 — წინავე სიკვდილი, ვის ვაჭრობის
 სიკვდილს ვაჭრობისთვის, — ვაჭრობის
 ხეივანის სიკვდილი, შავიანი ხეივანის
 თქმის არ იქნებოდა.

* ამისთან, ამოხვეული მის ქვეყანაში
 ქართველს ხანგა მგელი.

გზისთვის მის დას სხინისთვის სახლის
 სი სხინისთვის გვიან, ვახტანგის
 დის ბიჭისთვის სხინის და გვიან გა
 ვახტ.

უფროვე ვახტანგის არ მიწვეული სხინის
 არ იქნებოდა, არ სხინისთვის მიწვეული
 და ბიჭისთვის და თქმის თქმის.

ბიჭის დის სხინისთვის სახლისთვის გა
 დიქის, ვაჭრობისთვის თუ არ, ბიჭისთვის
 სხინის და თქმის მხარის და სხინისთვის
 ხს სხინისთვის:

ვაჭრობის, ვაჭრობის თუ სხინის,
 მიწვეულის ბიჭის ვაჭრობის
 სხინისთვის.
 ვაჭრობისთვის მესამისთვის
 სხინის, სხინის, არქის და ვახტ.

ვაჭრობისთვის მისთვის სხინისთვის თქმის
 ხს ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის, კოჭის ბი
 ლის სხინისთვის დასხინისთვის და
 მიწვეულის სხინისთვის თქმის და ვახტის
 თქმის და ვაჭრობისთვის, ლის თქმის
 დის სხინისთვის და ვაჭრობისთვის სხინის

ბიჭის ვაჭრობისთვის მისთვის კ სხინისთვის
 თქმისთვის ვაჭრობისთვის სხინისთვის, თქმის
 დიქისთვის, არ დისთვის დიქისთვის ვაჭრობისთვის
 და და დისთვის ვაჭრობისთვის სხინისთვის.

— ვაჭრობის, ვაჭრობის, ვაჭრობისთვის,
 ვახტანგის, ვაჭრობის, ვაჭრობის — ვაჭრობის
 სხინის დის დისთვის სხინისთვის და
 ვაჭრობისთვის ბიჭისთვის.

— ვაჭრობისთვის თუ, ვაჭრობისთვის
 — არ, ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის, —
 მიწვეულის თუ მისთვის.

სხინისთვის დის მისთვის მიწვეულისთვის
 — რად მიწვეული ვაჭრობისთვის სახლისთვის,
 ვაჭრობისთვის მიწვეული ვაჭრობისთვის ხს მიწვეული
 სხინისთვის მიწვეული ვაჭრობისთვის.

— სხინისთვის, ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის,
 ვაჭრობისთვის არ იქნებოდა სხინისთვის — არ,
 სხინისთვის ხსინისთვის და ვაჭრობისთვის
 დის მიწვეული სახლისთვის სხინისთვის და
 სხინისთვის.

ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის
 ვაჭრობისთვის არქისთვის და ვაჭრობისთვის ხს
 სხინისთვის ვაჭრობისთვის. სხინისთვის ამისთვის
 ვაჭრობისთვის სხინისთვის ვაჭრობისთვის: ხს სხინისთვის
 ვაჭრობისთვის თუ ვაჭრობისთვის სხინისთვის, სხინისთვის

ვის ვაჭრობისთვის მიწვეულისთვის, ვაჭრობისთვის მიწვეული
 ბიჭისთვის თქმისთვის ვაჭრობისთვის, ხსინისთვის
 ხსინისთვის არ ვაჭრობისთვის, სხინისთვის მიწვეული
 სხინისთვის.

თუ ვაჭრობისთვის იყო თუ ვაჭრობისთვის იყო და-
 მისთვის, მიწვეულისთვის მიწვეული მისთვის სხინისთვის
 სხინისთვის, სხინისთვის სხინისთვის მიწვეულისთვის
 არ სხინისთვის მიწვეულისთვის სხინისთვის
 სხინისთვის ვაჭრობისთვის და ვაჭრობისთვის სხინისთვის
 სხინისთვის, ხსინისთვის სხინისთვის ვაჭრობისთვის
 ხსინისთვის, ვაჭრობისთვის სხინისთვის და
 სხინისთვის, ვაჭრობისთვის სხინისთვის მიწვეული
 სხინისთვის.

— აქ, სხინისთვის ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის
 სხინისთვის.

ვის იყო ხსინისთვის ვაჭრობისთვის სხინისთვის

მისთვის სხინისთვის სხინისთვის დის (ვაჭრობისთვის
 სხინისთვის სხინისთვის, თქმისთვის ვაჭრობისთვის
 სხინისთვის ვაჭრობისთვის მიწვეულისთვის ვაჭრობისთვის
 ხსინისთვის სხინისთვის, სხინისთვის დის
 და სხინისთვის სხინისთვის, ვაჭრობისთვის
 დის ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის
 და სხინისთვის მიწვეული სხინისთვის.
 დისთვის ვაჭრობისთვის ვაჭრობისთვის:
 — არ, ვაჭრობისთვის, ხსინისთვის — ვაჭრობისთვის და.

მიმოხას ჯერ კიდევ ეძინა, როცა ლი სახლიდან გავიდა.

პირველად მიაბიჯებდა ის მარტოდ-მარტო ქალაქის ფართო ქუჩებზე, მიაბიჯებდა და სათამაშო ეტლის ეყვებებს მიაწკარუნებდა.

თი ქალაქის ბალი. კარგად ახსოვს ეს ბალი ლის. ერთხელ მამამ იქ მიმოხა და ლი მიიყვანა. რა კარგი დრო გაატარეს, რამდენი რამ ნახეს!

ლიმ თავისი ეტლი ბლის შესავალთან გააჩერა და მგზავრებს დაუწყა ლოდინი, მაგრამ მას არავინ აქცევდა ყურადღებას. გამოკდილი რიქშები კი იციხოდნენ. ვიღამაც კატა ჩაუგლო ეტლში და მზიარულად შესძახა: შეხე, თითისტრლა ბიქს ტკინების სატარებლად მოუტლიოა, — სხვა დრო რომ ყოფილიყო ალბათ ლიც გაიციხებდა, მაგრამ ახლა სახლში შშიერი დაიკო ეგულემბოდა და სიცილის ხასიათზე არ იყო.

ლი უკვე შინ გაბრუნებას აპირებდა, როცა ბალიდან თეთრკანიანი მანდილო-სანი გამოვიდა. ერთ ხელში ბრტყელი ქოლგა ეჭირა, მეორეში — მიმოხას ტოლი გოგონა.

ამოდ ევედრებოდა დედა გოგონას: დაწყნარდი ხალხი გიკვტრს, სირცხვილიაო, და აწვდიდა მოკოლადას და შაქარყინულს.

პატარა გოგონა ყველაფერზე «არ მნდას» გაიძახოდა და ფეხებს ასავსავებდა. დედამ აღარ იცოდა, რა ექნა, ამ დროს ლიმ მიმოხას გასართობი სომღერა დაილინა:

გაგაქანებ, გაგაქანებ ისე ჩქარა,
მოგაჩვენებ ეტლის ქროლვას
ნიკაქარად,

ბულბულივით ვსტკვენ და ვფრინავ,
ჰეი, ჰეი, რიქშა ლი ვარ!..

და მაშინვე, მისი ეტლის საეარძელზე კირვეული გოგონა დასკუდა.

— რა კარგია, რა კარგია! — გაიძახოდა ის და დედას ხელს უქცევდა. ლიმ ბაღს ირგვლივ შემოუბრინა, თეთრ ქალბატონს მიუახლოვდა და შედგა. დედამ

გოგონას გადმოყვანა რომ დააპირა, ახლა ბალიდან გამოარბენილი ბავშვების შექმნილები გაისმა:

პატარა რიქშამ გამსეირნოსო, — გაიძახოდნენ ისინი.

ბლის წინ ბავშვების რიგი ჩამწყრივდა. ლი მუშტურების ცვლას და ფულების დათვლას ძლივს ასწრებდა.

ყველაფერი კარგად იყო, სანამ ეტლში სახელმწიფო მოხელის ცოი-ხახას შევიღები: ბულბულივით მჩატე ციპა და ტყვიასავით მიძიე დრიპა ჩასხდებოდნენ.

— შენ ჰეი, აკეთეღირავ, უფრთხილდი, კარგად ეკითრ, თორემ... — მიძახაცოიმი ლის და მათრახით დაემუქრა.

ციპა, როგორც გოგოს შეშეენს, წყნარად იჯდა; დრიპა კი, ლისავით პატარა ბიჭი იყო, მაგრამ ძლიერ ყოჩაღობდა. ციპას ეტლის ნელი სიარული სურდა, დრიპას კი ჰქენება:

— გააქანე, — უბრძანა დრიპამ და ლი გაფრინდა.

— შეაჩერე, — უბრძანა ციპამ და ლი შეჩერდა.

— როგორ ბედავ შეჩერებას! — შეჭყვირა დრიპამ ლის და მათრახი დაქრა. ლიმ სიმწარისაგან მოპკურცხლა რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

დრიპა ხარხარებდა, ციპა გაქვიოდა მიშველეთ, მიშველეთო.

მათი მამა ცოი მეორე ეტლით დაედევნა ლის. დაეწია და შავი დღე დააყენა. დასისხლიანებული ზურგით დაბრუნდა ლი საღამოს, მაგრამ სახლში ხანემლიძარო შევიდა და დედას ფული ჩააბარა.

— ხომ კარგია რიქშამ ყოფნა? — შესცინა მიმოხამ ლის.

— კარგია, გენაცვალე, — უპასუხა ლიმ და მომდგარი ცრემლები გადაყლია.

იმ დღიდან ლი რიქშა გახდა. მირბის და შორთულ-მოკაზმულ მგზავრებს მიაქროლებს. მიბრბის, ოფლს ღერის და ფიქრობს: — რად არის ამომავალი მზის ქვეყანაში ცხოვრება ასეთი ზნელი?

ლი ხშირად იცქირება დასავლეთისაკენ, საბჭოთა ქვეყნისაკენ, სადაც ბედნიერება და სიძაროლე ეგულება.



ზარან ჟივარიაძე

ნახატი მ. დაუშვილიძე

დროშა გოგიათ აღმართა

სკოლიდან დაბრუნებულმა იაშემ ძმას მიახარა:

— გოგი, იცი, კვირას ჩვენი რაზმი დაშქრობას აწყობს; მტკვარსგალმა რომ ყველაზე დიდი მწვერვალია, იმაზე უნდა იფიცი!

გოგიამ ფანჯრიდან გაიხედა და მოშორებით აღმართულ მიწაზე მთას თვალი მოავლო. რამდენჯერ უნატრია გულში იმ მთაზე ასვლა! იქიდან, ალბათ, მთელი რუსთავი ხელისგულივით გამოჩნდება.

— შე ირ წამიყვანთ?! — შეეკითხა გოგია დას.

— შენ ჯერ პატარა ხარ! — ჩაიციხა იაშემ.

— ვინ არის პატარა! — იწყინა გოგიმ. იაშეს გვერდით ამოუდგა და დაეტოლა:

— აჰა, შენაღენა ვარ თუ არა!

— ფეხისწვერებზე ნუ დგები, — შენიშნა იაშემ, — ჩემი სიმაღლისაც რომ იყო, მწვერვალზე მაინც ვერ შესძლებ ასვლას.

— რაშიაც გინდა შემეჯიბრე, თუ მაჯობებ... მერე რა, რომ შენ მეოთხე კლასში ხარ და მე—მეორეში...

— სულ ერთია, მწვერვალზე მაინც ვერ წაგყვანთ.

გოგია მიხედა, რომ იაშესთან ვერაფერს ვახდებოდა, გაჩუმდა და კუთხეში მიჯდა.

სამსახურიდან დაბრუნებულ დედას გოგია ყელზე ჩამოეკიდა და ხეწნით დაითანხმა, რომ თუ რაზმის ხელმძღვანელი ნებას დაართავდა, გოგიაც წავიდოდა დაშქრობაში.

კვირა დილით გოგია ადრე ადგა, ხელპირი დაიბანა, ისაუზმა, ზურგჩანთა შეკრა და თასმებით კობტად მოირგო მხრებზე.

მზე არც კი ამოსულიყო, როცა დამა სკოლის ეზოში განძნდნენ. აქ უკვე თავი მოეყარათ წითელყელსახვევიან გოგონებსა და ბიჭუნებს, ქრიაბულობდნენ. სიხარულით ელოდნენ დაშქრობის დაწყებას.

გოგია ცოტა შემკრთალი შევიდა სკოლის ეზოში, ფიქრობდა: ვაი თუ რაზმის ხელმძღვანელმა უარი მითხრასო.

— გოგი, გამარჯვება! — იცნო რაზმის ხელმძღვანელმა გოგია, — იაშეს ვასაცილებლად მოხვედო?



გოგია ყუბუბამდე გაწითლდა და თავი დაღუნა.

— ჩვენთან წამოსვლა უნდა, ამხანაგო რაზმის ხელმძღვანელო, ძალიან ვახოვით წავეყვანოთ! — გოგიას მავგიერად უპასუხეს პრინერებმა.

რაზმის ხელმძღვანელმა გოგიას თავზე ხელი გადაუსვა და შეეკითხა:

— შერე, რომ დაიღალო?

— თუ სხვები არ დაიღლებიან, არც მე დავრღლები, პატივცემულო ხელმძღვანელო, — გათამამდა გოგია.

— ღონიერი ბიჭია, სრარულს შესძლებს, — გაიფიქრა ხელმძღვანელმა, მაგრამ მინც შეკითხა:

— მშობლებმა ნება დაგვრთეს?

— დედაცაუ ვთხოვათ, ამხანაგო ხელმძღვანელო! — ჩაერია სუბარში იაშხე.

— კარგი! იაშხე, გოგი შენს რგოლთან ერთად წამოვიდეს, ოღონდ ფრთხილად იყავით. უკვე დროა, დავწყევთ!

ერთიპული უცებ შეწყდა, საყვირის ხმაზე გამოიტანეს პიონერული რაზმის დროშა.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი რაზმი მწკრივად გაემართა ქალაქკარეთ, მწვერვალისაკენ.

რაზმი რგოლებად დაიყო: ყოველი რგოლი ცალ-ცალკე, სხვადასხვა მხრიდან უნდა ასულიყო მწვერვალზე. მაგრამ პიონერებს ერთ ადგილას ძლიერ გაუქირდათ: ბილიკი დაქანებულ აღმართს მიჰყვებოდა, ქვეები ფეხქვეშ ეცლებოდათ და ხრიალით ნიცივითა ქვევით. როგორც იქნა ეს აღმართიც დასძლიეს. დაიღალნენ რამდენიმე წუთით შესვენება გადაწყვიტეს.

მწვერვალი უკვე ახლოს იყო, მაგრამ ბი საქმოდ მალა ასულიყვნენ.

— შეხედეთ, აქედან უკეთ მოჩანს ჩვენი რუსთავი! აგერ, გრძელი სამწკრივები რომ შენდება, აი, იქ იწარმოებს ლითონის გამოღობა! — ამბობდნენ ბავშვები და ახლად გაშენებულ თვალუწყდენელ ქალაქს სიხარულით გასცქეროდნენ.

— გოგი, ხედავ, რა ლამაზათ მოჩანს ჩვენი სახლი? — წამოიძახა იაშხემ და პასუხი რომ ვერ მიიღო, ბავშვები გადაათვლიერა.

გოგი მათ შორის აღარსად იყო.

— ალბათ დაიღალა და ჩამოგვრჩა, მივებმარებით! — დააიშედეს შემკრთალი იაშხე ბავშვებმა.

— არა, აქ, ჩემს გვერდით იდგა და რა იქნა? — გაოცებით იკითხა ერთმა მათგანმა.

— ფეხი ხომ არ დაუცდა სადმე? — გაიფიქრა იაშხემ და დაბლა ჩასვლა დააპირა.

— ვაშა! — მოისმა მალლიდან გოგიას ხმა, რომელიც ყველაზე ადრე ასულიყო მწვერვალზე.

— ვაშა! — შესძახა იაშხეს რგოლმა და გოგიასკენ გაეშურნენ.

ამ დროს პიონერების ყიფინა სხვა მხრიდანაც გაისმა, მწვერვალზე დანარჩენი რგოლებიც აღიოდნენ, მალე მთელმა რაზმმა ერთად მოიყარა თავი.

— ბავშვებო! ვინც მწვერვალზე პირველი ამოვიდა, პირობის თანახმად, დროშაც მან აღმართოს! — მიმართა პიონერებს რაზმის ხელმძღვანელმა.

გოგია ყოჩასღათ წინ წამოიღდა, რაზმის ხელმძღვანელს დროშა ფრთხილად გამოართვა და ტარით გულმოდგინედ დაარქო მწვერვალის შუაგულში.



ქ. პომიანავილი

ნახატები ან. კანფელაქისა

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

ყურშამ, ღრუტუმ, თხამ და იხემა
მინდვრის პირად, ერთ ღამეს
გადაწყვიტეს: რომ ხვალ დილით
შეგჯიბრონ ერთმანეთს.
მეორე დღეს შეიკრიბნენ
მწკრივად დაწყობილები,
საყურებლად მოიყვანეს
თავიანთი შიგლები:
ბეკეები, ქუქულები,
ლეკეები და გოჭები,
საჩდილობლად თავზე ჰქონდათ
გოგრის ფართე ფოთლები.

ჯერ ცუროვაში გაეჯიბრნენ,
„ბრძოლა“ ჰქონდათ ნამდვილი,
და ეს საქმე იხვისათვის
იყო მეტად ადვილი;
სულ წინ იხვი მისცურავდა,
უკან — ყურშა ჩქარობდა,
თხა ჰრელ თვალებს აცეცებდა,
ჩამორჩენას ნანობდა.
ღრუტუნა კი წყლის ნაპირას
ტლაპოში რომ ჩავარდა
არც ამდგარა, ძილისათვის
უკვე თვალებს ნაბავდა.

და დამთავრდა შეგჯიბრება
არც თუ ისე ადვილი;
პირველობა იხეს ერგო და
ღრუტუს, — ბოლო ადგილი,
დღეა იხვი სიხარულით
ვახვანებდა, მხნელ იყო,
ქუქულებმა გამარჯვება
მიულოცეს დედოქოს...

რბენაშიაც გაეჯიბრნენ
მეგობრები იმ დილით,
გზა, მუხიდან — ცაცხვის ხემდე,
გაიარეს სირბილით.
მირბის ყურშა, მისდევს თხა და
კენისით ოფლს ღვრის ღრუტუნა,
იხვი უკან მიბაჯბაჯებს
აქ მას ბედმა უმტყუნა.
პირველობა ყურშას ერგო,
ღრუტუ ყვირის: — რა მიყო!
და ლეკებმა, გამარჯვება
მიულოცეს მამიქოს.

თხამ თქვა: — მე, მე, მეორე ვარ,
იხვი „ვახ-ვახს“ ამბობდა;
ღრუტუს გული შეუწუხდა
და მუხის ქვეშ გაგორდა.

გოჭუნებმა დაიკვირეს:
— ვაი, ვაი ღვინო,
გული ცუდად ხომ არა გაქვს?!
ჩვენი ბელი ეს იყო? —

გოჭუნების მოთქმა ღრუტუს
თუმცა კარგად ესმოდა,
მაგრამ თვალებს ვერ ახეიდა,
კენესოდა და კენესოდა.
და შვილებმა კვლავ ჩასძახეს:
— დედა, დედა, ღვინო! —
წყალი ასხეს, წყალი ასვეს,
მალე ღრუტუ მხნედ იყო...

სიმაღლეზე ხტომისათვის
ყანის ღობეს ესტუმრნენ,
(ღრუტუნის თავიდანვე
აღონებდა ეს თურმე!)
გამარჯვება იქ არ გახლდათ
არც ისეთი ადვილი,
თხამ ისკუპა, გადაახტა,
ხვდა პირველი ადგილი.
ყურში ჰყეფდა: — ჰამ, ჰამ, ჰამ, ამ
წვეტიანცარამ რა მიყო,
ვაჯობებდი, რომ მე ასე
ტანდაბალი არ ვიყო! —
და თიქნებმა გამარჯვება
მიულოცეს მამიკოს..



იხემა ფეხი გაიკაწრა
და ღრუტუნამ მუცელი,
გოჭუნებმა ზედ დაადვეს
გრაველადრღვას ფურცელი.
— თხამ ხტომაში გამარჯვა,
და ყურში კი სირბილში,
იხვი ცურვის ოსტატია.
მე კი ვწევარ ამ ჩდილში. —
ამბობს ღრუტუ, ბრაზი მოსდის.
უცბად ფეხზე წამოხტა,
ნეტავ რა სურს ღრუტუნის,
რა იფიქრა, რა მოხდა?!
— სიმძიმეში გამოვცადოთ
ძალა, ჩვენ ამ დილითა, —
თქვა ღრუტუმ და ასაწევად
მოთხრილ ხესთან მივიდა.

წვალობს ყურში, ოფლის ღვრის იხვი,
ლამის იმ ხის ქვეშ გაძვრეს,
მაგრამ ხე კი, არ იქნა და
ადგილიდან ვერ დაძვრეს.
ღრუტუნამ ხეზე დასვა
ყურში, იხვი, ცანცარა,
და მეგობრებს იქ დაჯდომა
დიდხანს როდი აცალა;
ჯერ გაჰხედა და შემდეგ კი
ხესთან ახლოს მივიდა,



გრძელი მუხა ვაავორა
ლონიერი ღინვითა.
ღრუტუნია სიხარულით
ხარხარებდა, მხნედ იყო,
გოჭუნებმა გამარჯვება
მიულოცეს ღედიკოს.
და შეიღებმა დედა, მამა,
გადაჰკოცნეს, შეაქეს;
ყვავილები დაკრიფეს და
თაიგული მიართვეს.

თხამ, ღრუტუნამ, იხემა, ყურშამ
გაიხარეს გულითა,
იხვი „ვახ-ვახს“ გაჰყვიროდა,
ღრუტუ ბუქნას უვლიდა;
შინისაკენ გაეშურნენ,
ღიმი ჰქონდა მათ სახეს,
და უეცრად გოჭუნებმა
კრიმანჭული დასძახეს.

ყველამ ყელი მოიღერა,
თხა ამბობდა მეორეს,
მათი ხმების მოძახილი
მთებმაც გაიმეორეს.
ყურშა „ჰამ-ჰამს“ იძახოდა
ღრუტუ ბანიით მღეროდა,
ბეკეკები კიკინებდნენ
„აბა, რაშო რეროვ-და“.
ასეთ ლამაზ სანახავსა
გახა სადმე შეხვდებით?
ქუჭულები ხითხითებდნენ,
მოცეკვავდნენ ღეკეკები,
და შშობლებმა შეიღებს უთხრეს:
— გქონდეთ ამის შეგნება,
დაგვიჯერეთ... მომავალი
მულამ კარგი გექნებათ;
ყველამ თავი ისახელებ
ვისაც რა გეხერხებათ,
ისეთ საქმეს ხელს ნუ ახლებთ,
რაც თქვენს არ შეგეხებათ!





ბუნების კარი

მაქალო თურაშულად ვიქცე!

ერთ დღეს ტყეში ჯივლითილი ვაის-
მა და წითელყვლოსხვევიანი ბავშვები
კარს შემომხევიენენ:

— ეს კარგი მაქალოა, სწორი ღერო
აქვს!

— აბა ჩქარა, ბარი მოიტათ, ჩვენს
ბაღში გადავიტანოთ!

— ფრთხილად, ფესვები არ დაუზიან-
ოთ!

პიონერებმა ჩემს ვარშემო მიწა მოთხა-
რეს. დამწედნენ, დედამიწის გულიდან
ამომგლოჯეს. ერთმა ბუთხუბა ბიქმა ზურგ-
ზე გამიდვა და ყოინით სადღაც გამაქანა.

კარგა ხნის შემდეგ გავიღვიძე: ფესვები
ნელ-ნელა შევარხიე, მინდა გავიგო ისეე
იმ ბიკიკოს ზურგზე ვარ, თუ უკვე გაზ-
მნენ ჩემი მასაზროდებელი? თურმე კვლავ
დედამიწის გულში ვარ. ფესვებს ფრთხი-
ლად მივაკოცებ ფხვიერ მიწაში და მზა-
რია.

თვლი იმაზე უკეთესს ვერას ნახავს,
რაც ჩემს ვარშემო დავინახე: ირგვლივ
აყვავებული ვაშლის ხეებია, ატუმბს ზომ
სილამაზეში ვერაიენ შევდრებმა. ხეხილს
დილის სიომ წამოუქროლა, ყვავილს
ფურცლები მოსტაცა, ჰაერში შეაჩხი-
ა თბუბე გადმომაყარა.

ჩურჩული შემომესმა, ყური მიუვადე,
ლომხად აყვავებული ვაშლის ხე ჩემს მე-
ზობელს ატუმბს ჩურჩულებმა:

— ეგ რა მგზობელი გაგჩენია? —
ატმმა გადმოხედა და ჩურჩულითვე
უპასუხა:

— ტყეში უპოვიათ, ნორჩმა მიჩურა-
ნელებმა მოიტანეს და გვერდით მომი-
სკლუეს.

— ერთი კითხე: რა ჯიშისა არის!? —
განაკრობს ვაშლის ხე და ჩუმად ხითხი-
თებს.

— რა ჯიშის უნდა იყოს, მაქალოა,
მწვანე მაქალო.

— ძალიან კი დაგაუწნოვა!
მათმა საუბარმა გული მატყინა.

გავიდნენ დღეები, ჩემი კვირტებიც
გაიფურჩქნენ, მწვანით შევიძოსე; მართ-
ლაც ღამაზი რამ ვიქნებოდი, მაგრამ
ვარშემო იმდენი მშვენიერი ხე დგას,
რომ ამათ შორის რალა გამოვიჩნდები, —
ტყეში გაჩენილი პატარა მაქალო?!. ღა-
მაზი ვაშლის ხე არ მისცვენებს, დამკინის..
და თითქოს ჩემს ჯიბრზე ისე გამშვენიერ-
და, ისეთი წითელი ვაშლები დაისხა,
რომ მეც შევნატრი.

— მე სულ სხვა ვარ, ვერაიენ დამე-
დრებმა! — ტრაბახობს ის ყოველ დღე.

დღეს პატარები კვლავ შემომხევიენენ.
მასწავლებელიც თან ახლავთ, ნეტაეი კი-
დეუ რას მიპირებენ?

— ხედავთ, ლოპო დაწყებული აქვს,
სწორედ ახლა არის მყნობის დრო.

— ლოპო რა არის, მასწავლებლო?
— აი, ნახეთ, კანსა და ღერს შორის
წვენი ჩადგომია, ეს წვენი გაახარებს ახალ
კვირტებს.

— მე უნდა დავამყნო, ეგ ხომ ჩემი
ნაპოვნია—გაიძახის ბუთბუზა ზიკუნა.

— რომელი ჯიში გინდა დამყნო?

— აი, ის თურაშაული!—მიუთითა მან
ტრახა ვაშლისაკენ. ბავშვებმა ვაშლის
ხეს კუნწლები შეაქრეს. ახლა მე შემო-
მეხვიენენ და ტოტები მჭრელი დანით
დამისერეს. დასერილ ადგილებში თურა-
შაულის კუნწლები ჩამიწყვეს, ზედ კანა-
ფი მაგარად შემომახვიეს.

— ნახეთ, რა ღამაში ვაშლის ხე
გაიზრდება; გამძლეობა და ჯანი მკალო-
სი ექნება, სილამაზე და ნაყოფი კი—თუ-
რაშაულისა, — ამბობს მასწავლებელი.

გავიდენ დღეები. დასერილი ტანი მო-
მიშუშდა.

კიდევ მეწვიენენ ჩემი მზრუნველები:

— ხედავთ, ნამყენმა გაიხარა, ყოჩაღ,
სოსო, კარგი ხელი გქონია!

— ახლა კი დროა ზედმეტი ტოტები
დაეპურათ! — განადამსვენეს. ტოტები და-
მაქრეს, სწორედ იქ, სადაც თურაშაულის
კვირტები ამიწვიანდა. რამდენიმე დღეს
კიდევ უხასიათოდ ვიყავი, ახლა კი
გავხალისდი და თავზე მწვანე ქოჩორი
დავიდგი. აბა, ახლა დამცინოს იმ ვაშლმა.
ორ-სამ წელიწადში მეც სწორედ ისეთ
ვაშლებს დავისხავ, როგორც მის აქეს და
ჩემს პატარა, წითელყელსახვევიან მეგო-
ბრებს გავახარებ!

ქაქაია დედარაინი

ნახატი აღ. ზანქელაძისა

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

გ ა მ ო ო ც ა ნ ი თ !

1. შავი არის კებრივითა,
მკვრივია და ხმელი,
ზნელში დაჰყო უთვალავი,
ასჯერ ასი წელი.
მოწყენილი ვახლდათ, ვიდრე
მისწვდა კაის ხელი. —
შავ ქოჩორზე დამეინდება
ოჭროს სავარცხელი;
სასახლემი შეგებრძანებ,
ჩავფრაზავ კარებს,
ჩაეტეილში ილულუნებს,
არ გამოვა ვარეთ,
დარბაზს ისე ვახურებებს
ხელს ვერ მიაკარებ!

2. ერთი ზღვა მქონდა უსახლერო,
ამ ქვეყნის ფასად მიღირდა, —
შიგ ერთი დღეი ჩასულა
მისი ძალ-ღონე მიკვირდა;
მოხვეტავს ოჭროს კალმახებს
ჩაახრამუნებს რიხითა.
მე ოჭროს ქვირითს მომაწვდის,
ფხებს დააგროვებს იქითა;
ქვირითს ვუმარჯვე ქურქელი, —
ვაესებ და ვავსებ რივითა!

ს ა ლ ზ უ რ ი გ ა მ ო ო ც ა ნ ე ბ ი

1. თხა და ძროხა დამოზილდა
ნემსის შუამავლობითა.
2. აკანური, ბაკანური,
სულ კაკანებს მზიარული,
ოლონდ ყური ვახურებზე, —
არ ბეზრდება სიარული.

3. ერთი რამე სულიერი
მთაზე დაქრის ქარივითა,
გზა-გზა ყელსაც მოიღერებს
მოხდენილი ქალივითა,
ცეცხლსა ძლიერ ერიდება,
შემა დააქვს ძვლივითა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

- 1. თხამ ნეკერი დაინახა და საბტომი არ გასინჯაო.
- 2. სირცხვილი დიდი კომბალია.
- 3. ცული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს წამოაქცევს.

443

მადან ლმინია

ჭიდაობა

განი, განი, ჩამოდექით,
დაუკარით საქიდაო,
ამ ფლაუნის დამარცხება
ხედავთ, როგორ გაქირდაო!

გული უდულს ეშხით დუდუქს
დოლს გაუდის ბაგა-ბუგია..
ხუთი უყვე წაქცია,
რიგში უდვას ცხრა ქაბუჯი.

ფოცხვერივით მოქნილია,
გადაგიხტა, შორით მიჰყე,
მარჯვენე მისი თბილისია,
მარცხენე — მისი გორის ციხე.

გორულ სარმას გაგიკეთებს,
გადმოგიღებს თავდაყირა,
შვიდი ისე წაქცია,
არ ისვენებს, არც დაღლილია.

ფოცხვერივით გადაგიხტა,
შეცხრე ხარ და შორით მიჰყე,
სხვა რა უნდა გამარჯვებულს,
თავს დასცქერის გორის ციხე.



უღებე: „ჭიდაობა“. ნახტი ალ. ვეფხვაძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რ. შარშიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. აბაშიძე, შ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, უ. ცხადაძე,
თ. თუშანიშვილი, მამ. მამულიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაჟოშვილი,

გამომცემლობა „კომუნისტა“. რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ 3-81-85

გამომცემლობის შეე. № 79 სტამბის შეე. 929/1563 ტირაჟი 7000 ფე (5303 ფანი 5 მან.

ტექსტი აწარმოებდა ლ. მ. ზერას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. გერნალი
დასტავილია რედაქციის სისტემის მანქანებ „ზარა ვისტოკას“ სტამბაში, თბილისი, რუსთაველის ქროს. № 42